№ 85. 26 აპრილი, კვირა. 1866—1881 26 აპრილი, კვირა. № 85.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე, ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროებისა“, „ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან, ხოლო გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში | 6 თვეს | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით სტრიქონზე 1 კაპ., [illegible] ასოებით სტრიქონზე ნახევარი კაპ. [illegible] სტრიქონზე [illegible] კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია უსწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

არწრუნის თეატრში

დღეს, 26 აპრილს

ქართული დრამატიული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქმნება:

შემოსავლიანი ადგილი

კომედია 5 მოქმედებად, თხზულება ოსტროვსკისა, ნათარგმ. რუსულიდ. ა. ჭიჭინაძისა და ი. მიქელაძისა.

ანტრაქტებში დაუკრავს საბღულ-ბანდი.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში.

დასაწყისი 8 საათზე.

## ტელეგრამმები

პეტერბურღი, 24 აპრილს. გაზ. „გოლოსში“ დაბეჭდილია, რომ მისი უმაღლესობა მიხეილ ნიკოლოზის მე სტოვებს კავკასიის ნამესტნიკის თანამდებობასა.

გუშინ მოვიდა პეტერბურღში ოსმალეთის საგანგებო დესპანი (ელჩი) რეუფ-ფაშა.

გაჩინის სასახლეში ხელმწიფე იმპერატორს გამოეცხადა ახლად ჩამოსული ელჩი სპარსეთისა, რომელმანც მიართვა იმპერატორს სპატიო ხრმალი ალმასებითა და ზურმუხტით შემკულილი და აგრეთვე სპარსეთის შაჰის საკუთარის ხელით დაწერილი ბარათი. მეორე საათის ნახევარზედ, როდესაც იმპერატორი გამოვიდა ზალაში, სპარსეთის ელჩი შემდეგის შესხმით მიესალმა იმას:

„თქვენო დიდებულებავ, ჩემმა თვით-მპყრობელ მბრძანებელმა მომანდო მე გამოგიცხადოთ უღრმესი მწუხარება იმ უბედურების გამო, რომელიც ეწვია რუსეთს 1 მარტის შემთხვევის გამო. თქვენს დიდებულებას მოეხსენება ის გრძნობა ღრმა პატივისცემისა, რომელსაც გრძნობს ჩემი თვით-მპყრობელ ბრძანებელი თქვენ მიცვალებულ უავგუსტოესის მშობლისადმი. ერთ-ერთი ნუგეში ჩემი ხელმწიფისათვის ის არის, რომ თქვენ აბრძანდით რუსეთის ტახტზე, რომლის გამოთ მე ვარ თქვენ დიდებულებასთან გამოგზავნილი ამ ბარათის მოსართმევად. მისმა დიდებულებამ შაჰმა მიმანდო მე აგრეთვე პირათაც გამოგიცხადოთ იმის მეგობრობის, ერთგულებისა და პატივისცემის გრძნობა, რომლითაც ჩემი ხელმწიფე თქვენდამი აღჭურვილია.“ ამის შემდეგ ელჩი და იმის ამალა გამოეცხადნენ ხელმწიფე იმპერატრიცას, რომელსაც ელჩმა მიართვა შაჰისაგან საკუთარის ხელით დაწერილი ბარათი და ამასთანავე მშვენიერი ფირუზის ბეჭედი.

ოდესსა, 22 აპრილს. კრეისერი (ხომალდი) „ნიჟნი ნოვგოროდი“ სახალინის კუნძულისაკენ გაემგზავრა 500 ტუსაღით.

პეტერბურღი, 24 აპრილს. „გოლოსში“ დაბეჭდილია: კავკასიის ნამესტნიკი მიხეილ ნიკოლოზის-ძე ამ დღეებში მობრძანდება თფილისში ნამესტნიკის თანამდებობის ჩასაბარებლად და შემდეგ დაბრუნდება სამუდამოთ საცხოვრებლად ისევ პეტერბურღში ცოტა ხანს შემდეგ დიდი მთავარი მობრძანდება საზღვარგარეთ ემსის ან კარლსბადის მადნის წყლებზე საექიმოთ.

პარიჟი 23 აპრილს. მთავრობამ აღკრძალა მიტინგა (კრება), რომელიც კვირას უნდა გაემართათ აქაურ რადიკალებს იმ განზრახვით რომ რუსის მმართებლობას მოეშალონ გელფმანის ქალის ჩამოღრჩობა.

ალჟირიდამ მოვიდა ამბავი, რომ ხმელეთზე გამოსული ფრანცუზის ჯარი ერთს ალაგას მოგროვდა და იმ წამსვე თავს დაესხა ხრუმერების უმთავრეს ციხეს აბდულა-ბელჯამენტს.

### ტფილისი, 25 აპრილს.

დღეს თფილისის საადგილ-მამულო ბანკის საზოგადო კრება დამაარსებელთა განიხილავს, სხვათაშორის, ერთს წინადადებას, რომელიც, ზოგიერთა მიზეზის გამო, განსაკუთრებითი ყურადღების ღირსია. ეს წინადადება მდგომარეობს იმაში, რომ ბანკის წლევანდელი მოგებიდგან წმინდა ნინოს სასწავლებელს თელავში მიეცეს ასი თუმანი შესაწირავი.

საზოგადოდ სასწავლებლის შემწეობა, სკოლის დახმარება ყოველი ქების ღირსია: ამაზედ ნაყოფიერს, ამაზედ უკეთესს დანიშნულებას ბანკი ვერ ამოუჩენს თავის მოგების ფულსა. მაგრამ საბანკო კრებამ უნდა იცოდეს, იმას უნდა განსაზღრული ჰქონდეს, რა საჭიროებას უნდა მოხმარდეს შეწირული ფული, რა ნაკლულევანება უნდა შესუსტებულ იქმნას ან სრულიად მოსპობილ და რა სენს უნდა დაედოს წამლათ.

ჩვენ ძალიან ვეჭვნეულობთ, რომ ეს აზრი გამორკვეული ჰქონდეს კრებას. ჩვენა თითქმის დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ კრება ფულის შეწირვას გადასწყვეტს თელავის ზავედენიის სასარგებლოთ, ამ შეწირულობის დანიშნულებას არ გასაზღვრავს და ზედ დაანათლებს ამ აზრსა: ჩვენ კარგი ბიჭობა ვქენით, ფული შემოგწირეთ და ახლა რაზედაც გინდათ, იმაზედ მიფლანგეთო.

მაგრამ გონიერი ფილანტროპი თავის დღეში ასე არ მოიქცევა. ის როცა ფულსა სწირავს, თანაც ღონისძიებას ხმარობს, რომ მისი შეწირული სასარგებლოდ, ნაყოფიერად იქმნას მოხმარებული. ის როდი აძლევს ფულსა ყველა ხელის გამომშვერელსა, ამიტომ რომ კარგად იცის ბევრი ნაშოვარ-ნათხოვარს ფულს კეთილად კი არ იხმარებს, ლოთობაში და სხვა ბოროტ საქმეებში იყენებს. როცა იგი ტიტველა კაცისათვის ფულსა მეტულობს, თანაც ხერხს ხმარობს, ამ ფულით ის შეიმოსოს და არა ქალაქლდის თამაშობაში წააგოს, მაგალითად.

ფული, შეწირული დანიშნულების განუსაზღვრელად რომელიმე სასწავლებლის სასარგებლოდ, შეიძლება სავნებელად იქმნას მოხმარებული. ამ ფულის შემწეობით შეიძლება გააძლიერონ ის სენები, რომელნიც სასწავლებელს უნაყოფოდ ხდიან საზოგადოებისათვის. შეიძლება, მაგალითად, ცალკე ზედამხედველი დაიქირაონ იმ განზრახვით, რომ სამშობლო ენის ხმარება ლაპარაკშიაც შეუძლებელი გახადონ, შეიძლება საგნების სწავლების განძლიერების მაგივრად, ტლინკვა-ცეკვა კიდევ უფრო მომეტებულად გაახალონ; შეიძლება

---

## «დროების» ფელეტონი, 26 აპრილს.

### მოთხრობიდამ „ტანჯულნი.“

I

ემ რამდენიმე წლის წინათ, ერთს გაზაფხულის საღამოს დიდს ფაცაფუცსა და ანბავში იყო ჩვენი თბილისი: მის ბედნიერ მცხოვრებთ საიდგანღაც ეწვიათ დიდი სტუმარი.

რას მოისურვებდა შორ-გაუმჭვრეტელი თვალი, რომ იმ ღამეს თბილისში არ ენახა? მთა-წმიდა, სოლოლაკის და მახათის მთები სულ ჩირაღდნებით და ათასნაირი შუშხუნებით იყვნენ მოფენილნი? მრთელი ქალაქის ქუჩები სხვა-და-სხვა ფეროვანი ფარნები იყო სავსე... უმთავრეს ქუჩებზედ, აბა, რაღა მოგახსენოთ! ისეთ ნაირად იყო ეს ქუჩები გაჩაღებული, რომ გეგონებოდათ აქაური სახლები თავით ბოლომდისინ, სულ მთლად, ცეცხლის ალში სხედანო.

ამ ქუჩებში უნდა გამოესეირნა ბობოლას, ამისათვის დიდ-ძალი ხალხი ირეოდა აქა. მორთულები და მოპრანჭულები მხიარულის და მომცინარის სახით ებაასებოდნენ ეს ადამიანები ერთმანერთს; მუჯლუგუნებით, მიწოლ-მოწოლით და მრავალი ოფლის ღვრით იკაფავდნენ წინ გზას, რომ პატარა ხანს უკან ისევ ამ გვარისავე გაჭირვებით მობრუნებულიყვნენ უკანვე.

ხალხი მომეტებულად, ერთ სასახლეს ატყდებოდა და მის ახლო-მახლო ტრიალებდა.

აი, გაიღო სასახლის კარები. დიდის ანბით და ყოფით გამობრძანდა ეს ბობოლა და ჩაბრძანდა უმშვენიერეს ეტლში. იარაღით შეღესილ მხედრებით გარშემოსვეული ეტლი დაიძრა და გაჰქანდა დღის მსგავსად განათებულს ქუჩაში. ხალხმა შეჰქმნა გრიალი. ეტლი მიჰქროდა წინ და მხედარნიც თავგამოდებით მისდევდნენ მას უკან.

აგერ ერთმა მხედრის ცხენმა ვილასაც წამოჰკრა ფეხი და ბურთივით გაისროლა წინ; მეორე და მესამე მხედართ გადაუარეს ზედ.

— კაცი მოკვდა, კაცი!.. დაიძახა ვილაცამ.

გამოჩნდნენ „მოცლილი“ ადამიანები და გაჰქანდნენ ძირს დაცემულისაკენ. მათ საჩქაროდ ააყენეს ეს ფეხზედ, მაგრამ, ვაი ამ აყენებას!. კაცი ვულ-შეწუხებული იყო: გულისფიცარი ჰქონდა ჩამტვრეული და პირიდამ სისხლი-ამოსდიოდა.

— ვერავინ იცნობთ ამ კაცსა? ვინ არი, სადა დგა? დაიყვირა ერთმა.

— ეეე! ქალაქის ბიჭს როგორ ვერ ვიცნობ! მოისმა ერთი ზორბა კინტუას ხმა,—მამეცათ, ერთი შევხედო სახეზე... ვა, ვა, ბიჭო! ეს ჩვენი დურგალი არ არი? აი ჩვენი მიხაკუა დურგალი!. ის არი, ის.. მოდი ერთი მიშველეთ, გავიტანოთ ამ ხალხიდამ...

ამ სიტყვებით ზორბა კინტუამ ასწია დურგლის თავსა და ბეჭებს, მეორემ აუწია ფეხები და საჩქაროზე გაიტანეს ის ერთს უფრო თავისუფალ ქუჩაში. აქ ერთს ალაგას დაასვენეს, დაასხეს წყალი, სისხლი გაჰბანეს და ცოტათი მოასულიერეს. შემდეგ ისევ ისე ასწიეს და ჩაუხვიეს ანჩისხატისკენ მიმავალ ვიწრო ქუჩებში. ჩაუხვ-გამოუხვიეს და შევიდნენ ერთს ვიწრო და ტალახიან ქუჩაში; გადასდგეს კიდევ რამდენიმე ლაჯი და მიადგნენ ერთს ძველს სარდაფის მსგავს ქოხმახს. აქ დადგნენ. ზორბა კინტუამ ჩასდგა ძირს ფეხი და ბნელს ოთახში შესძახა:

ამ ფულით თავისი ყურ-მოჭრილი ყმები, საზოგადო საქმის და ხალხოსნობის მოღალატენი, დააჯილდოვონ და მომატებულად წააქეზონ თავის თანამდებობის აღსრულებაში. ერთი სიტყვით საზოგადოებას თვალები დასწვან იმ მარილით, რომელიც მისგანვე მიუღიათ.

განუსაზღვრელად შეიძლება ფულების შეწირვა, მაგრამ რომელ ქვეყანაში, რომელ საზოგადოებაში? სადაც სასწავლებლები არიან ერთი სისხლი და ერთი ხორცი ერისა, სადაც იგინი დამყარებულნი არიან ნაციონალურს ნიადაგზედ, სადაც საზოგადოებას მამულის შვილათ უმზადებენ, სადაც მართეენ მათ თავის სამშობლოს ერთგულნი და მის ბედნიერის მომავლის მნატრელნი. ამისთანა ბედის სასწავლებელს ყოველ გვარი შესაწირავი კეთილად შეერგება და არას დროს შხამათ არ ექცევა.

მაგრამ ვინ არ იცის, რომ ჩვენი სასწავლებელნი ისე არიან დაშორებულნი ამ გვარი ბედისაგან, როგორც დაშორებულია ეხლანდელი რუსეთი საფრანგეთის მდგომარეობიდგან? ვინ არა ხედავს ნამდვილის მწუხარებით, რომ ჩვენი სასწავლებლები თითქო განძრახ ყოველ ღონის-ძიებას ხმარობენ იმ მიზნისათვის, რომ თავისი მოწაფენი დააშორონ სამშობლო მხარეს, სამშობლო საზოგადოებას, გადააბირონ, დაამახინჯონ, და გახადონ ქვეყნის გამოუსადეგარ წევრათ?.... .

წმინდა ნინოს ზავედენიები თბილისში და თელავში მაღალი მიზნის მისაწევათ იქმნენ დაარსებულნი. მათ უნდა მოემზადებინათ ნამდვილად განათლებულნი ქართველნი ქალნი დემოკრატული მიმართულებისანი, დემოკრატული ყოფაქცევისანი, წინააღმდეგ ინსტიტუტისა, რომელიც არისტოკრატის შვილთა ზრდა არისტოკრატული მიმართულებით. მათ უნდა აღეზარდნათ გონიერნი დედანი, მომქმედნი პირნი საზოგადო ასპარეზზედ; მაგრამ ყველა ეს მოლოდინი ფუჭად დარჩა. არც ერთი იმედი საზოგადოებისა არ იქმნა შესრულებული. ეს სასწავლებლები სზრდიდნენ და ზრდიან ნამდვილ გონიერ ქართულ დედებს კი არა, რაღაც დამახინჯებულს **რუსინკებსა**, რომელთაც არც ქართული იციან ხეირიანათ, არც რუსულში ირიან დახელოვნებულნი, რომელთაც სამშობლო თითქმის სძულთ და კაცობრიობაც, რასაკვირველია, არაფრათ ეპიტნავებათ, რომელნიც, ერთი სიტყვით, თავისას ყველას-ფერს დაშორებულნი არიან, და სხვისასაც ვერ მისწდომიან და ვერას დროსაც ვერ მისწვდებიან, რადგანაც პირველი არის ხიდი მეორისა. ეს სასწავლებლები დიდი ხანია არსებობენ, მაგრამ მათ არ უჩუქებიათ საზოგადოებისათვის არც ერთი დედა, გამოჩენილი გონიერი შვილების აღზრდით, არც ერთი მასწავლებელი, შესამჩნევი მხნეობით, სიმარჯვით და კეთილ-ნაყოფიერი მოქმედებით, არც ერთი მოღვაწე ჩვენი მწერლობისა, ლიტერატურისა, მაშინ როდესაც ცხრა მთას იქიდგან გადმოვარდნილის მადამ ფავრის პანსიონმა მოკლე ხნის არსებობაში ქართული ენის და ლიტერატურის გვარიანი სწავლის მეოხებით გამოუზარდა ჩვენს ქვეყანას იმისთანა ნიჭიერი და თავისი სამშობლოს მცოდნე და მოყვარე პირი, როგორიც არის ეკატ. გაბაშვილისა, ავტორი მშვენიერის მოთხრობისა „რომანი დიდ-ხევაში“. ასე გასინჯეთ ლატაკმა მცხეთის სასულიერო ერთ-კლასიანმა სასწავლებელმაც კი ზავედენიეებზედ მეტი სიკეთე მოუტანა ჩვენს ქვეყანას ექვსიოდე წლის არსებობით, რადგანაც მოამზადა რავდენიმე გვარიანი სახალხო მასწავლებელი ქალი.

უმთავრესი მიზეზი ამ უნაყოფობისა გახლავთ ის გარემოება, რომ ამ სასწავლებლებს ფეხი არ უდგიათ გამაცხოველებულს ნიადაგზედ. ამ გამაცხოველებულს ნიადაგს შეადგენენ: ენა, მწერლობა, ლიტერატურა, ისტორია, ყო-ფა-ცხოვრება იმ ერისა, რომლიდგანაც გამოდიან მოწაფეები და რომელსაც უნდა დაუბრუნდნენ სწავლის დასრულების შემდეგ სასარგებლო ცხოვრებისათვის და ნაყოფიერი არსებობისათვის. ყველა მოხსენებული საგნები სწავლის კურსიდგან გამოკლებულნი არიან და თუ ისწავლიან რასმეს, ისე მცირეთ, ისე ვიწროდ და ხშირად ისე უმადურად, რომ სიყვარულის და თანაგრძნობის მაგიერ უღვიძებენ გულში სიძულილსა და აბუჩალაკობასა.

აშკარაა, რა საყურადღებო დასკვნა გამოდის ნათქვამიდგან საბანკო კრებისათვის. თუ ამ კრებას სურს, რომ მისგან შეწირულმა ფულმა ნამდვილი სარგებლობა მოუტანოს სასწავლებლებსა და კეთილად წარმართოს ქართველი ქალების სწავლება, ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ, მიუცილებლად საჭიროა; რომ ამ ფულს თვითონვე კრებამ მისცეს განსაზღვრული დანიშნულება, მიმართული ნაჩვენები ნაკლულევანების მოსასპობლად. ესე იგი, კრებამ უნდა დააწესოს, რომ ასს თუმანს ფულს სწირავს ქართული ენის და ლიტერატურის სწავლების განძლიერებისათვის წმიდა ნინოს ზავედენიაში თელავში.

ამ გვარი გარდაწყვეტილება მით უმეტეს იქნება ნაყოფიერი, რომ ზავედენიებზედ ზედგავლენა აქვს იმისთანა გონიერს, განათლებულს და მარჯვე ქართველს, როგორიც ბრძანდება თ. სიდამონოვი—ერისთავი, რომელიც, უეჭველია, ყოველ ღონის-ძიებას იხმარს, რომ შეწირულმა ფულმა პირდაპირი თავისი დანიშნულება აასრულოს.

## რამდენიმე სიტყვა თბილისის თავად-აზნაურთ საადგ.-მამულო ბანკზე.

ამ დღეებში ჩვენმა მარშალმა გამოგვიცხადა თბილისის საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის განკარგულება იმაზედ, რომ ამ თვის 26 უნდა იყოს ამ ბანკის წლიური ყრილობა. როგორც გვახსოვს, ეს პირველია, რომ გაზეთების გარდა, მარშლებსაც გამოეცხადებინოთ ამ ბანკის ყრილობაზე. რასაკვირველია, ეს განცხადება იმ აზრით არის, რომ უმეტესმა წევრმა გაიგოს ყრილობა და ჩამოვიდნენ ქალაქს. ამისთანა აზრისთვის ზედამხედველ კომიტეტს ჩვენ მადლობის მეტი არა გვეთქმის-რა...

ახალს ამბავს არ მოგახსენებთ, ბატონებო, რომ ჩვენ, ქართველები, ძალიან დაუდევარნი ვართ და საქმის ბოლომდინ წაყვანა არ ვიცით. ამის დასამტკიცებელი ბევრი მაგალითია, მაგრამ ჩვენ ბანკის თავ-დანებებამ კი ყველას გადააჭარბა. ერთი დრო იყო, რომ ბანკის ყრილობაში ასზე მეტი წევრი მოვიდოდა ხოლმე, მაგრამ ამ ბოლოს დროს, როგორც მახსოვს, იმდენი მოგროვდებიან, რომ ძლივს ყრილობა შესდგება.

რა არის მიზეზი წევრების ესე გულის აცრუებისა? ბევრისგან გამიგონია, იმიტომ არ დავდივართო ყრილობებში, რომ ბანკში დიდი უწესოება არისო, და რადგანაც იმას ჩვენ ვერ ამოვკვეთამთო, ამიტომ არცა ღირს ბანკის საქმეში გავერიოთო. ჩვენის აზრით, ამას არაფერი საფუძველი არ უდევს: ბანკი ჩვენგან არის დაარსებული, მოქმედნი პირნი იქ ჩვენგან არიან ამორჩეულნი; მაშასადამე, ჩვენვე შეგვიძლიან ამოვკვეთოთ ყოველი ცუდი წესი, თუ ბანკში არსებობს, და გამოვცვალოთ ჩვენგანვე ამორჩეულნი მოქმედნი პირნი ბანკში. ესეც კი უნდა ვსთქვათ, რომ რაკი ჩვენი ბანკის მმართველები ხედამენ, რომ ბანკის წევრები გულგრილათ ეკიდებიან ბანკის საქმეს, ამათაც უმეტესათ ერთი-ორათ გულგრილათ მიჰყავთ ბანკის საქმეები.

გადავიდეთ ფაქტებზე.

ვისაც კი ჩვენ ბანკში ჰქონია საქმე, შეუმჩნევია, რომ იმის გამგეობა (**правленіе**) ისე ეკიდება ხალხს, როგორც პოლიცია ჩვენს დაბალ ხალხს. აქაც კი ცოტ-ცოტათ მოხელეები მოიდრიკნენ და ცდილობენ თავიანთი ყოფა-ქცევა გამოიცვალონ, მაგრამ ჩვენ ბანკის გამგეობის წევრებს

---

— სალხში არავინა ხართ! ერთი სანთელი აანთეთ, მამა გიცხონდებათ!

— ვინ ოხრები და ტიელები ჰყრიხართ, რო მობრძანდებით აქა!—მოისმა შიგიდამ ქალის ხმა,—დაიკარგენით, თორემ საცაა მოვა ჩემი ქმარი...

— ვა, ვა, რა გულ-ჩქარი ადამიამიანი ყოფილხარ,—მიუგო კინტუამ,—ერთი მოიხედე აქეთ... და-ძმობას ვფიცავ, შენი ქმარი მამიყვანია...

— როგორ თუ ჩემი ქმარი!—დაიძახა შიგნით ქალმა და გამოვარდა კარებზედ.

— მოიცა, დაოჯან, მოიცა,—უთხრა მას კინტომ—შენი ქმარი მთვრალია, სხვა არაფერი.. ერთი შენ სამთელი აანთე!.

— ში, ჩემ თვალებსა,—დაიძახა ქალმა,—ეგ ეგრე არსად დამთვრალა!.

— სანთელი, დაოჯან, სანთელი!. ზანიმეორა კინტომ.

— რა ვქნა, რა სანთელი!. ვინ მოგვცა სანთელი!. დაიწუწუნა ქალმა.

— ვაა, ე სპიჩკა მაინც გაჰკარ!.

— პრიჩკაც აღარა გვაქ...

— ერთი, მამა გიცხონდა, ე ცეცხლი მაინც აანთე... დაიძახა კვალად კინტუამ.

— ამ სითბოში ცეცხლი რათ გვინდა.. მოისმა ქალის პასუხი.

— მოიცა, ბიჭოჯან, მე სპიჩკა მაქვს ჯიბეში,—სთქვა კინტუას მეორე ამხანაგმა.

მართლაც, ამოიღო მან სპიჩკა და სახლის კარებში გაჰკრა; მისმა მკრთალმა შუქმა გაუნათა დურგალს სახე, ცოლმა მოჰკრა მას თვალი და ერთი საშინელი დაიკივლა.. გაშმაგებული გამოვარდა სახლიდამ და დაეცა ქმარსა.. გაგიჟდა, გამგელდა საცოდავი ქალი! ორი ვაჟკაცი ეჭიდებოდა და მაინც ვერ იმაგრებდა...

რის ვაი-ვაგლახით შეიტანეს დურგალი სახლში და დასდვეს ჭილობ გადაშლილ ერთს პატარა ტახტზედ. კინტუას ამხანაგი გაჰქანდა და საჩქაროზედ მოარბევინა სანთელი. აანთეს და ის თქვენმა დამაწყევარმა დაინახოს, რაც მაშინ საწყალმა ანანომ დაინახა! დურგალს პირიდამ სისხლი წურწურით გადმოსდიოდა და მომაკვდავის ბინდი გადაჰკროდა თვალებზედ. მან ულონოთ გადააგდო კისერი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დააჭყიტ თვალები.

„ შვი ..ლე...ბოო“ წაილუღლუღა და მსწრაფლად დალია სული..

კონკებში გამოხვეულმა ორმა, თუ სამჰა ბავშვმა ასტეხეს საშინელი ტირილი...

ანანო ავარდა ტახტზედ და მოიკეცა. თვალებ დაჭყეტილი, პირ-დაღებული და გაფითრებული, ის თითქო ვეღარა ხედავდა თავის უბედურ ქმარსა! თვალის კაკლების და კისრის ჩქარის ტრიალით ხან კინტოებს აცქერდებოდა და ხან თავის ქოხმახის კედლებს.. შემდეგ უცებ წამოხტა და გადმოხტა ტახტიდამ. გაჩერდა შუა ალაგას და დაიწყო წუწუნი:

— ჩემი, ჩემი, გენაცვალე—შვილებიიიიი.... რა უყავით, რა უყავით! აქ ნელ-ნელა მოტრიალდა და დააცქერდა თავის ქმრის გვამსა...

— უიჰიმე, დაიკივლა ერთი და უგრძნობელად დაეცა მიწაზედ.

— სიხარულის ხმა მოისმა შორსაიდგანღაც და ჰაერში გაშვებულმა შუშხუნის ბურთმა შემუაშუქა ამ საბრალო ქოხმახში, ქოხმახში, სადაც ამ დროს ცოცხლები მკვდრისაგან ცოტა რიღათიმე განირჩეოდენ.

დევან ცაველი.

1881 წ. 20 აპრილს.

კი ვერა ეშველათ-რა. ამათ ჰგონიათ ბანკი დეპარტამენტი არისო და თითონ იმისი დირექტორებიო. ღმერთმა გაშოროს, მკითხველო, რომ ამ ჩვენ დირექტორებთან საქმე გქონდეს როდისმე: გამგეობის წევრების და თავსმჯდომარის დევნით ნაღვლა გაგისქდება და ბედსაც იწყევლი, რადგანაც თითქმის არავისა ნახამთ ბანკში. თუნდ რომ ნახოთ კიდეც, მაგდენ ნუგეშს ვერავისგან მიიღებთ: ესენი ძალიან გავარჯიშებულნი არიან „ზავთრა“, „ზავთრაში“, როგორც ადრინდელი ჩინოვნიკები.....

ამ დღეებში აი რა ამბავი მაამბეს აქ, გორში. წრეულს აქაურს მოქალაქეს ზ—ნოვს შეეტანა ჩვენ ბანკში ფული. კვიტანციის მისაღებათ უცადა თურმე ორი საათი მეტი, რადგანაც არც თავსმჯდომარე და არც წევრი არა ყოფილან ბანკში, რომ ხელი მოეწერათ. ამ დროს მისულა ბანკში ვ. თ—შვილი, რომელსაც თურმე იცნობს ეს გორელი, და უთქვამს იმისთვის თავისი გაჭირება. ვ. თ—ს უბძანებია ჩადეთ კანვერტში კვიტანციაო და თ. ილია ჭავჭავაძეს სახლში გაუგზავნეთო ეხლავ ხელის მოსაწერათაო, რადგანაც ეს პირი ტყუილათ დროს ჰკარგავსო და უცდისო. მაგრამ არც ამ ამბავმა უშველა თურმე ზ-ნოვს, რადგანაც თ. ილია ჭავჭავაძესთან გაგზავნილი კაცი უკან დაბრუნდა და ამბავი მოიტანა, რომ ჯერ კიდევ ამას სძინავსო და ვერ გაალვიძესო. ამის შემდეგ ორი საათი მეტი თურმე კიდევ უცადა, ვიდრე რომელიმე ბანკის გამგეობის წევრი მოვიდა და ძლივს ეღირსა ზ-ნოვს, და კვიტანციაზე ხელი მოუწერეს. თავ-ბედს იწყევლის თურმე ეს მოხუცებული კაცი, რომ ამ ბანკის მონა გავხდიო.

ამისთანავე შემთხვევა მოსვლია თურმე თ. დ. გ-შვილსაც, რომელმაც აგრეთვე კვიტანციის მოსაწერათ უცადა თურმე ორი საათი მეტი; იმავე ვ. თ-შვილის მოწყალებით თ. ილია ჭავჭავაძისთვის სალხში გაუგზავნიათ კვიტანცია ხელის მოსაწერათ, მაგრამ იმ დღეს ეს ბედნიერება არ დამართვია, რადგანაც ბ. თავსმჯდომარე, თ. ილია ჭავჭავაძე, საგურამოს ბძანებულა; ერთი წევრი ოკრუჟნი სუდში ყოფილა (ადვოკატი გახლავთ) და მეორე წევრი პეტერბურღში. ძლივს მეორე დღეს ეღირსა თურმე კვიტანციის მიღება.

ეს ორი მაგალითი გორელებიდგან ავიღე და ალახმა იცის რამდენი ამისთანა მაგალითები მოუხდა სხვა მაზრელებს. კარგი იქნება, რომ ყველამ ხმა ამოიღონ. მაშინ უფრო აშკარათ და ცხადათ დავინახამდით ჩვენი ბანკის გამგეობის მოქმედებას. მაგრამ, როგორცა სჩანს, გამგეობის წევრები ესე ფიქრობენ: ჩვენ თვეში ერთხელ არ გავივლით ბანკშიაო და ვისაც ჩვენთან საქმე აქვთ, იმათ იარონ, მინამ მოსწყინდებათო. ჩვენ იმ დროს მივალთ ბანკში, როდესაც ჯამაგირის მიღების დრო იქნებაო...

არ შეიძლება გვიპასუხოს ბანკის გამგეობამ—აქამდინ რაზე დაიგვიანა ბანკის ახალი წესის დამტკიცებამ? რასაკვირველია, ამაზედ ის გვიპასუხებს, რომ ჩვენ არ შეგვეძლო ძალა დაგვეტან და მალე დაგვემტკიცებინა, მაგრამ ჩვენ ნამდვილათა გვაქვს შეტყობილი, რომ გამგეობას თავის დროზე ღონისძიება არ მოუხმარებია ადრევე წარედგინა ყრილობისთვის ახალი წესდება. მაგრამ გამგეობის წევრებს რა ენაღვლებათ, თავიანთ ჯამაგირს მაინც იღებდნენ თავის დროს და ჩვენ, ბანკის დამფუძნებლებს, კი არ გვკითხამენ რა გაჭირება გამოვიარეთ ამ ორ წელიწადში უკრედიტოთ.

ბევრი სათქმელი კიდევა გვაქვს ბანკის გამგეობის წევრებზე და იმით უწესოთ მოქმედებაზე, მაგრამ ზოგი საკუთრათ დარჩეს. ხოლო ამ ჟამათ არ შემიძლიან არ მოვიხსენიო ერთი მაგალითი, რომლიდგანაც მკითხველი აშკარათ დაინახავს, თუ გამგეობა რა ნაირათა ზრუნავს ჩვენი ბანკის ინტერესისთვის. ვგონებ 1878 წელს, გორში ჟ—მა დააგირავა ჩვენ ბანკში თავისი სახლი. პირველ წელიწადსვე, როგორც მახსოვს, ფული არ შემოიტანა. ბანკმა დანიშნა გაყიდვა. სავაჭროთ არავინ გამოცხადდა და სახლი ბანკს დარჩა.

ამ დროში ეს სახლი ხან ცარიელი ეგდო, ხან ქირით მისცეს და ბოლოს იქამდისინ მიიყვანეს, რომ ოხრათა და უპატრონოთა გდია. თუ ბანკის გამგეობამ იმდენი ვერ ითავა, რომ გაეგზავნა—ვინმე გორს, სადაც დღეში ადამიანს შეუძლიან ორჯელ წავიდეს და მოვიდეს, და ეპატრონებინა ამ სახლისთვის, რაღასა იქს სხვა ქალაქებში, საითაც რკინის გზა არ არის გაყვანილი?

რას აკეთებს ჩვენი ბანკის ზედამხედველი კამიტეტი? ნუ თუ ამან ეს ყოველი ბანკის გამგეობის უწესოება და მავნებელი მოქმედობა არ იცის? ვგონებ იცის, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, რომ ქართველი კაცი ნათესავისთვის, მეგობრობისთვის და ხათრისთვის საზოგადო საქმეს და ინტერესს ფეხით გასრესს....

იქნება ამ ჩვენი წერილით ბანკის საქმეს მაგდენათ ვერა უშველოთ-რა, მაგრამ უნდა მოვაგონოთ ბანკის დამფუძნებლებს, რომ დროა ბანკს უპატრონონ თუ აქამდინ გულ-გრილათ ვეკიდებოდით ამის საქმეებს, ეხლა საშიშოა ამ გვარი ქცევა. ახალი წესდების ძალით და იმისთანა კაცების მოწყალებით, რა კაცებიც გვისხედან ბანკში, საეჭვო არ არის, რომ ეს ერთი საერთო და სასარგებლო საქმე ხელიდგან წავვივა და ხელში ჩაიგდებენ ის პირები, რომლების მოწყალებითაცა ვართ გაყვლეფილნი და ამისთანა უნუგეშო მდგომარეობაში ჩაგდებულნი..... უნდა ვეცადოთ სხვა კაცები ვიშოვნოთ. ძველმა ბანკის გამგეობამ გვიჩვენა და დაგვიმტკიცა, რომ მაგდენათ ბანკის დღეგრძელობისთვის და გაუმჯობესობისთვის ის არ ზრუნავს და არც შეუძლიან იზრუნოს. ვიმეორებ: ამოირჩიეთ ახალი და რიგიანი კაცები. ნუ გეშინიანთ, თუ გულ-მოდგინებით და სინიდისიანათ შეუდგებით ამორჩევის საქმეს, ეხლანდელ გამგეობის წევრებზე რიგიან კაცებს იპოვნით.

იქნება ბ.ბ. ილია ჭავჭავაძე, ავალიშვილი და ჩოლაყაშვილი თავს იმითი იმართლებდნენ, რომ ჯერ ხომ ბანკის საქმე არ წამხდარაო და თუ საქმე ცუდათ წაგვეყვანა, აქამდინ გამოჩნდებოდაო. ეს არაფერი გასამართლებელი აზრია. პეტერბურღის და მოსკოვის ბანკების პატრონებიც ამ ნაირათ ლაპარაკობდნენ, ვიდრე იუხანცოვმა, სტრუსბერგმა და სხვ. კასსები არ დააცარიელეს და ამითი არ დაუმტკიცეს ამათ, რომ ისინი სცდებიან...

კიდევ ვიტყვი, რომ კაცები უნდა ამოვირჩიოთ. აქამდინ სულ იმასა ვჩიოდით, რომ მუქთათ ძალას ვერავის დავატანთო, რომ იმუშაონო. ბანკის მმართველებს ხომ ამას არა ვსთხოვთ. ამათ საზოგადოება ისეთ კარგს ჯამაგირს აძლევს, რომ ეს მოვალე არის იმუშავოს, არამც თუ ვარყვნას ის საქმე, რომელიც ხელში უჭირავს; საზოგადოებას ყოველთვის შეუძლიან მოსთხოვოს, რომ რიგიანათ იმუშაონ, არამც თუ ისე მოიქცნენ გამგეობის წევრები, როგორც ეხლა იქცევიან. ბ-ნი ილია ჭავჭავაძე ზამთარ-ზაფხულ გართულია თავისს საგურამოს მამულის გაშენებაში და თითო თვეობით თურმე ბანკში თავს არ შემოჰყოფს. თავ. ავალიშვილი, რადგანაც ადვოკატია, სასამართლოებში ალამებს და თავ. ჩოლოყაშვილი თავის ზარაფის დუქნის გაღებას უნდება,— ჩვენ ბანკს კი ნამდვილი მზრუნველი და გულის მომტკივარი კი არავინა ჰყავს. ჩვენ გაგვიგია, ვითომც თ. ილია ჭავჭავაძე თავს იმითი იმართლებს, რომ სხვა საზოგადო საქმეები მიშლიანო, რომ ბანკის საქმეს ერთ-გულათ შეუდგეო, მაგრამ ეს ცრუ აზრია: ჩვენ ნამდვილათ ვიცით, რომ ყველა საზოგადო საქმეებსაც ისე ეკიდება, როგორც ბანკსა.

ამასაც ვიტყვით, რომ თუნდ ბანკის ეხლანდელი გამგეობის წევრები ვარგოდნენ რითიმე, ბანკის დღეგრძელობისთვის სჯობს, რომ ახალი კაცები ვირჩიოთ ხოლმე. ხომ კარგათ იცით: წყალი ერთ ალაგას რომ დიდხან იდგეს, რა ბოლო აქვს... ამიტომ ამოირჩიეთ ახალი კაცები და ამითი მაინც უშველოთ ბანკსა.

ი. ნ—შვილი.

20 აპრილს, 1881 წ.
გორი.

## ახალი ამბები.

ამბობენ, რომ ჩვენი ქალაქის ერთს მცხოვრებს პ. ბელოის განზრახვა აქვსო, რომ დაარსოს თფილისში დამტარებელთა კანტორა, რომლის მსგავსი ყველა დიდ ქალაქებში და რომლის დანიშნულება იქნება, რომ ჩაბარებული ნივთები, წიგნები და სხვა ყოველგვარი ნივთები თავის კაცებს წაალებინოს ქალაქის ერთის ადგილიდამ მეორეში. ამ მიზნით კანტორას ეყოლება დაყენებული კაცები დამტარებლები ქალაქის რამდენსამე ალაგას, გალავნის პროსპექტზე, ერევნის მეიდანზე, სასახლის ქუჩაზე და სხვ.

ამ კანტორის დაარსების შესახებ ზემოხსენებულ ბელოის, როგორც ამბობენ, წინადადება შეუტანია ქალაქის გამგეობაში დასამტკიცებელად.

* * *

ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში „თფილისის პირუტყვთა დამცველ საზოგადოების“ სამის წლის არსებობის ანგარიში, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ ამ საზოგადოებას 1877 წლის 4 მაისიდამ დაუწყია მოქმედება და ამ ჟამად ჰყავს სულ 443 წევრი.

* * *

თითქო კანონათ დაუდვია ჩვენ ფოთი-თფილისის რკინის გზის გამგეობას, რომ საცა კი ქალაქი შეხვდება, გზა აუხვიოს, გვერდი აუაროს და ამით თითქო დაამციროს, აზარალოს ამ ქალაქს. ქუთაისის, გორის და მთელი კახეთის მაგალითი თვალ-წინა გვაქვს. ახლა ამგვარსავე საქმეს სჩადიან ელისავეტპოლის (განჯის) შესახებაც: გაზ. „გოლოსში“ იწერებიან, რომ ბაქო-თფილისის რკინის გზა ექვს ვერსზედ გადის განჯიდამაო და ამის გამო ამ ქალაქის მცხოვრებთ დეპუტაცია ამოარჩიეს, თფილისში და პეტერბურღში გზავნიან, უმაღლესს მთავრობასთან შუამდგომლობისათვის, რომ რკინის გზამ შიგ ქალაქში გაიაროს და ვაგზალიც იქ ააგონო.

* * *

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ხვალ, ორშაბათს საღამოს, არწრუნის თეატრში, იქნება ქველმოქმედების მიზნით წარმოდგენა, რომელიც უნდა მომხდარიყო 2 წასრულს მარტს და ვერ მოხდა 1 მარტის უბედურების შემთხვევის გამო. უველას, ვისაც ჰქონდა წინ-და-წინ აღებული ბილეთი, შეუძლია მიბრძანდეს თეატრის კასსაში და მიიღოს ახალი ბილეთი.

წარმოადგენენ გ. ერისთვის კომედიას „დავას“.

# რუსეთი

— ვოლფის ტელეგრაფის სააგენტოს ატყობინებენ, რომ, როგორც ამბობენ, დიდი მთავარი კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე აპირებს თავის თანამდებობის სახელმწიფო რჩევის თავსმჯდომარეობის და აგრეთვე ღენერალ-ადმირალის ალაგის მიტოვებას. დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე მიიღებს სახელმწიფო რჩევაში თავსმჯდომარეობას. ვინ დაიჭერს დიდი მთავრის ალაგს კავკასიაში, ჯერ კიდევ არ ვიცითო.

— გაზეთს „მოსკოვის ტელეგრაფს“ გაუგონია, რომ ჩვენმა მთავრობამ ხელმეორეთ წინადადება მისცა რუმინიის მთავრობას, რომ დაუთმოს რუსის მთავრობას ყველა ის პოლიტიკური დამნაშავენი, რომელთაც კი აქვთ რომელიმე კავშირი რუსის რევოლიუციონერებთან.

— როგორც შეუტყვია გაზეთ „პორიადოკს“ გავრცელებულია ხმა, ვითომ სახალხო სიკვდილის დასჯა მოისპობა.

— იმ გიმნაზიებში, სადაც უმეტესობას შეადგენს პოლშელები, პოლშური ენის გაკვეთილებს მოემატება. უმაღლეს ბრძანებას არის შესახებ მოელიან მოკლე ხანში.

ამ გაკვეთილების სასწავლებლებში ახლად დადგენას და განაწილებას შეუდგება ყველა სასწავლებლების დირექტორების რჩევა, რომელიც უნდა მოხდეს ვარშავაში. ამასთანავე ამბობენ, რომ მთავრობის ბრძანებით, საღმრთო წერილის სწავლის უფლება დაბალ სასწავლებლებში მიეცემათ მხოლოდ სასულიერო წოდების პირებსო.

— ამ მოკლე ხანში დაიწყება თექვსმეტი პოლიტიკურ დამნაშავეთ საქმის განრჩევა.

— შესახებ პოლიტიკურ დამნაშავეთ უცხო ქვეყნებში ცხოვრების უფლებების მოსპობაზედ იწერებიან, რომ სახელმწიფოების წარმომადგენელთა რჩევა იქნება მომავალ ზაფხულს, როგორც ამბობენ ბერლინში. რუსეთი, გერმანია, ავსტრია და ბელგია უკვე დათანხმდნენ ამ საქმის შესახებ. ამ მოკლე ხანში მოელიან თანხმობას დანარჩენ სახელმწიფოებისაგან, რომელთაც ჯერ არ მოუციათ გარდაწყვეტილი პასუხი. რუსეთის წარმომადგენლად ამ რჩევაში, როგორც ამბობენ, უსათუოდ იქნება ლონდონში რუსეთის ელჩათ ნამყოფი გრაფი შუვალოვი.

— გაზეთი „*Russische Correspondenz*“-ი გვაცნობებს, რომ 1 მარტს მეორე ყუმბარის მსროლელი არის გვარად გრინევიცკი, მღვდლის შვილი ქალაქ ლუგიდამ.

— „მოსკოვის ტელეგრაფი“ ამბობს, რომ უცხო საქმეთა მინისტრად, თ. გორჩაკოვის მაგიერ, დაინიშნება თ. ლობანოვი—როსტოვსკი, ეხლანდელი ელჩი ლონდონში, რომლის ალაგზედ გადაიყვანება საბუროვი ბერლინიდამ. ამის ალაგას დაინიშნება გირსი, ეხლანდელი მმართველი უცხო საქმეთა სამინისტროსი.

# განცხადებანი

სახელმწიფო ქონებათა, ტყეთა, სამეურნო და სავაჭრო საქმეთა სამართველო საჭიროდ სთვლის საზოგადოთ გამოაცხადოს, რომ სავაჭრო ხელოვნებითი გამოფენა მოსკოვში უმაღლესის მთავრობის ნებადართვით, გადაიდვა მომავალ 1882 წლამდე და ამისთვის დაარსებული დამხმარებელი კომიტეტი ამ გამოფენისა სთხოვს ბ. ბ. ექსპონენტებს შეაჩერონ ნივთების გამოგზავნა, როგორც პირ-და-პირ მოსკოვში გამოფენაზედ, აგრეთვე თბილისის ქალაქში დამხმარებელ კომიტეტის სახელზედ.

დაწვრილებითი ცნობები შესახებ მომავალ წლის გამოფენისა და ნივთების გამოგზავნის პირობებიც იქმნებიან თავის დროზედ გამოცხადებულნი.

სახელმწიფო ქონებათა სამმართველო სთხოვს ყველა იმ პერიოდულ ქურნალ-გაზეთებს კავკასიაში, რომელთაც დაბეჭდეს პირველი განცხადება კომიტეტის მოქმედებისა, დაბეჭდოს ეს განცხადებაც. (3—3)

---

## მასწავლებელი ქალი,

რომელმაც სწავლა შეასრულა ერთ თბილისის სასწავლებელში, აძლევს გაკვეთილებს, ამზადებს ყმაწვილებს ყველა სასწავლებელში და მიიღებს მსურველთ სადგომზედ, რომელნიც ივლიან-3 მან. და რომელნიც მუდამ ბინათ ყველაფერს დამზადებულზედ-23 მანეთად. ადრესი: მესამე ნაგორნის ქუჩა № 20, სარქისოვის სახლები, ჭავჭავაძის ქუჩით. (3—2)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაიჩიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო გებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგირებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩევინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავჭავაძის იგარები. (100—53)

---

### ინგლისის მაღაზიაში




ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ. (150—62)

---

„გამგებელი კომიტეტი თბილისის გუბერნიის თავად აზნაურთა საზოგადოებისა, შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ ამით აცხადებს რომ ამ წლის 27 აპრილს დილის 10 საათზედ თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის სადგომში იქმნება საზოგადო კრება „საზოგადოების“ წევრთა.

### განსახილველნი საგანნი:

ა) ანგარიში გამგებელი კომიტეტის წარსული წლის მოქმედების შესახებ.

ბ) კომიტეტის წინადადება სკოლისთვის საკუთარი სახლის შეძენის თაობაზედ. (5—5)

---

რადგანაც დამტკიცებულ იქმნა „შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელის თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების“ შესწორებული წესდება, რომლის მალითაც თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელნიც ჩაირიცხნენ მოხსენებული საზოგადოების წევრებათ, ამის გამო საზოგადოების კომიტეტი მოიწვევს მათაც ამ აპრილის 27-ს საადგილ-მამულო ბანკის სადგომში, სადაც აღნიშნულ რიცხვს უნდა მოხდეს საზოგადო კრება მოხსენებულის საზოგადოების წევრთა. (2—2)

---

# თბილისის ქალაქ. გამგეობისაგან

თბილისის სამოქალაქო გამგეობა მოიწვევს მსურველთა, რომელნიც მიიღებენ თავის თავზედ მოიტანონ და დააწყონ მდ. მტკვარზე გასაკეთებელ რკინის ხიდის ნაწილები. ხიდი უნდა იქმნეს სამ ფერმაზედ, ოთხი რასკოსის სიმეტრიული სისტემისა თავის დასაჭედით, ზევით სატარებელით, ქვის ბოძებზედ; ხიდს ქვეშ ერთი გასავალი იქნება სიგრძით 159 ფუტი ბოძებს შუა. ტროტუარები უნდა იქმნენ კრონშტეინებზედ. ფერმების შუა 22 ფუტი უნდა იქმნეს, მოაჯირებს შუა 33 ფუტი, ფერმების სიმაღლე 13 ფუტი და 7 დიუმი. ხიდის ძირი უნდა იქმნეს წყალზედ ამაღლებული $26\frac{1}{2}$ ფუტზედ; სიღრმე მდინარისა 28 ფუტი და 4 დიუმი არის. გაზაფხულის წყალი აიწევს 14 დიუმზედ; შემოდგომის დაიწევს გაზაფხულისაზედ 7 დიუმზედ. გაგრძელდება გაზაფხულის წყლის მომატება თითქმის ორი თვე, შემოდგომის ერთი თვე. წყლის სისწრაფე ერთ სეკუნდში 7 დიუმს შეადგენს, გაზაფხულის წყლის სისწრაფე 21 დიუმსა. წყლის ძირი კლდოვანია მარჯვენა მხარეზე შენობებია, მარცხენა კი ცარიელი ადგილი.

იმ პროექტით, რომელიც სამოქალაქო გამგეობაშია, გამოანგარიშებულია სულ, მოაჯირიც რომ ჩავთვალოთ, რომელიც უნდა გაკეთდეს რკინისაგან, 65,6,25 ფუთი რკინა და 385,29 ფუთი თუჯი. ზემოხსენებული პროექტი შეიძლება ნახოს მსურველმა გამგეობის სტროიტელნი ოტდელენიეში ყოველ დღე.

დაწერილი განცხადება მიიღება გამგეობაში ერთი კვირის განმავალობაში ამ განცხადების უკანასკნელი დღიდამ რომ დავთვალოთ. განცხადებებში უმთავრესად უნდა იყოს მოხსენებული რკინის და თუჯის ფასი ფუთობით მოტანით და დაწყობით, აგრეთვე აშენების გათავების ვადა. (3—2)

---

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო

# ბანქისაგან

ზედამხედველი კომიტეტი თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა, წესდების მე-83 მუხლის ძალით, მოიწვევს ამა ბანკის წევრთ-დამაარსებელთ ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზედ, რომელიც იქნება ამ 1881 წელს 26 აპრილს, დილის 10 საათზე, ბანკის სადგომში.

### განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება ბანკის გამგეობის 1880 წლის ანგარიშისა (შემოსავალ-გასავლისა).

2) განსაზღვრა—თუ რაზედ უნდა დაიხარჯოს ბანკის შემოსავლიდამ „საზოგადო საჭიროებათათვის“ გადადებული ფული.

3) განხილვა ბანკის გამგეობის გასავლისა ამ 1881 წლისათვის.

4) ამორჩევა ბანკის გამგეობიდამ რიგით გამოსულის წევრის თ. ჩოლოყაშვილის სამაგიერო წევრისა და გამგეობის წევრების სამის კანდიდატისა. (7—7)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Апрѣля 1881 г Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.